

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს
პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის კატეგორიულაშვილის

შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე

თარიღი: 18.07.2025



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

18 ივნისი, 2025 წელი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ეკატერინე კულულაშვილის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ეკატერინე კულულაშვილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 30 აპრილს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სამსახურის შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 45 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული, საქართველოს ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 22 წელია, მათ შორის - მოსამართლედ თითქმის 10 წელია. კერძოდ:

- 2002 წლის სექტემბერი - 2004 წლის იანვარი - ადვოკატი - დიდუბე-ჩულურეთის რაიონის ჩულურეთის ადვოკატურა;
- 2004 - 2005 წლები - მოსამართლის თანშემწე - თბილისის საოლქო სასამართლო;
- 2005 - 2006 წლები - სხდომის მდივანი - თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- 2006 - 2013 წლები - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- 2013 - 2014 წლები - მართლმსაჯულების დეპარტამენტი, სისხლის სამართლის სპეციალისტი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- 2014 - 2015 წლები - მოსამართლის თანაშემწე - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2015 - 2016 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;
- 2016 - 2020 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე;
- 2020 - 2021 წლები - მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში;
- 2021 - 2023 წლები - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;
- 2023 წლის 14 აგვისტოდან - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ეპატერინე კულულაშვილის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწევების და მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური

ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხები. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია ბინა თბილისში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ეკატერინე კულულაშვილს არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ ეკატერინე კულულაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი იქნა ორ სისხლის სამართლის საქმეზე: 2022 წლის 27 აპრილს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, და 2023 წლის 31 აგვისტოს, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 366-ე მუხლის შე-2 ნაწილით. მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 97.5% შემთხვევაში.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სამ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები.

კანდიდატი მონაწილეობდა რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: 2023 წლის 14-16 თებერვალი, კახეთი, საქართველის ადვოკატთა ასოციაციისა და ევროპის საბჭოს (CoE) ორგანიზებით გამართული საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა - „საკანონმდებლო და პრაქტიკული საკითხები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით; 2023 წლის 15-17 მარტი, წინანდალი, სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხთა განხილვასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა; 2023 წლის 12-14 ივლისი, კომპლექსი ლოპოტა, სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; 2023 წლის 6-8 დეკემბერი, წინანდალი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა; 2024 წლის 10-11 სექტემბერი, ქ. ბათუმში, სასტუმრო („ჰილტონ ბათუმი“) გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), ევროპის საბჭოსა (CoE) და საქართველოს პროკურატურის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა“ და ა.შ.).

ეკატერინე კულულაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

საჯარო მოსმენისას ეკატერინე კულულაშვილს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო ვრცელი, თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა, დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ე) ფინანსური ვალდებულება - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმაციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე მიმართა, რომ:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ჩანვის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას).

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, მიუკერძოებელი და სამართლიანი, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, მედეგია ზეგავლენის მიმართ, გამოირჩევა პიროვნული სიმტკიცით.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას თავდაჭერილი და კორექტულია, შეუძლია ემოციების მართვა, იცავს სამოსამართლო ეთიკას და გამოირჩევა მოსამართლის შესაფერისი ქცევით და იმიჯით. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით და ავტორიტეტით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის შერიც, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი ეკატერინე კულულაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს სისხლის სამართლის მიმართულებით გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ეროვნული სასამართლოს პრაქტიკის, ასევე ადამიანის უფლებათა ეცროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატი, საჯარო მოსმენისას დასმული შეკითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატს აქვს პროფესიული კუთხით მუშაობის დიდი გამოცდილება და ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. მხარეთა პოზიციის და გამოკვლეული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ჯეროვნად ასაბუთებს მიღებულ გადაწყვეტილებას, აქვს უნარი აზრი გადმოსცეს ნათლად, დამაჯერებლად და გასაგებად. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სამ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები, რომელთა გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, რაც გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას აძნელებს.

აღნიშნული გარემოებების (ზარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს.

აღნიშნული გარემოებების (ზარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);

კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების, აზრის ნათლად, დამაჯერებლად და გასაგებად ჩაშოყალიბების უნარი, გააჩნია მოსმენისა და კამათის კულტურა. საჯარო მოსმენისას, დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები იყო ამომწურავი და გასაგები, მსჯელობდა ლოგიკურად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „შეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს, არის შრომისმოყვარე, პრინციპული, მიზანდასახული, აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად და გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი ავლენს ცოდნისა და ახალი უნარების შეძენის ინტერესს, სხვადასხვა სემინარზე მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში, ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა);

კანდიდატი სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებსა და შეხვედრებში, სადაც თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატავს თავის პოზიციას. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით, უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატ ეკატერინე კულულაშვილს ვანიჭებ 90 ქულას.



ლევანი თევზაძე